დანართი 1

დამტკიცებულია

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

მერის 2024 წლის ------ იანვრის

N---------- ბრძანებით

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სოციალური უზრუნველყოფა“ პროგრამის, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ასისტენტით მომსახურება“ ქვეპროგრამის შესრულების წესი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სოციალური უზრუნველყოფა“ პროგრამის, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ასისტენტით მომსახურება“ ქვეპროგრამით განხორციელებული მომსახურების დაფინანსების მიზნით ასისტენტმა უნდა მიმართოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და წარადგინოს:

ა) ასისტენტის განცხადება;

ბ) გადამზადების დამადასტურებელი ცნობა;

გ) პირადობის მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია და სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ) შრომითი ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს დაფინანსების საფუძველს;

ე) ასისტენტის გადაადგილების ტაბელი;

ვ) ანგარიშის რეკვიზიტი.

ქვეპროგრამის ასისტენტის მიერ სრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე (განცხადება, გადამზადების დამადასტურებელი ცნობა, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, შრომითი ხელშეკრულება, ტაბელი, ანგარიშის რეკვიზიტი) მოხდება დაფინანსება.

კონტროლი ქვეპროგრამით გათვალისწინებულ გაწეულ მომსახურებაზე განხორციელდება შერჩევის გზით ბენეფიციარის გამოკითხვის მეთოდით. თითოეულ ასისტენტთან გაფორმდეს მიღება ჩაბარების აქტი და ანაზღაურება განხორციელდეს შემდეგი პრინციპის შესაბამისად: საათობრივად კვირაში 2 საათი განისაზღვროს ორი ვიზიტით, თვეში არაუმეტეს 8 საათისა - რვა ვიზიტით.